EU4Business

შედეგების შეჯამება

2023

საქართველო

www.eu4business.ge

ევროკავშირი
საქართველოსთვის

EU4Business

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა

EU4Business ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინიციატივაა, რომელიც აერთიანებს ევროკავშირის აქტივობებს მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში - სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა.

პორტფოლიო*

* საქართველოში მოქმედი პროექტების 2022 წლის ჯამური ბიუჯეტი

45 პროექტი

ევროკავშირის მხარდაჭერის მთლიანი ბიუჯეტი

€341 მილიონი

ინიციატივების მიხედვით:

55%	28%	17%
ფინანსებზე წვდომა:	ბიზნესის განვითარების სერვისები:	ბიზნესის ხელშემწყობი გარემო:
€187 მილიონი	€96 მილიონი	€58 მილიონი

წელს მიღწეული შედეგები**

** 2022 წლის მონაცემები საქართველოსთვის

€228 მილიონი დამატებითი შემოსავალი გამოიმუშავეს მცირე და საშუალო საწარმოებმა

30,628 მცირე და საშუალო საწარმოს მხარდაჭერა

39% საწარმოს მფლობელი ქალია

24,284 ახალი სამუშაო ადგილი

+20% თანამშრომელთა ზრდა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ მცირე და საშუალო საწარმოებში

160 ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი მცირე და საშუალო მეწარმეები ჩაერთნენ ექსპორტში

+18% მცირე და საშუალო საწარმოთა ბრუნვის ზრდა

+16% ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილმა მცირე და საშუალო მეწარმეებმა გაზარდეს ექსპორტი

რა სახის მხარდაჭერას სთავაზობს ევროკავშირი მცირე და საშუალო საწარმოებს საქართველოში?

ფინანსებზე წვდომა:

- შეღავათიანი სესხები ადგილობრივი ბანკების საშუალებით
- მიკროდაფინანსება საოჯახო ბიზნესებისთვის
- მცირე გრანტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის
- ადგილობრივ ბანკებში თანამშრომელთა გადამზადება, რათა ისინი უკეთ მოემსახურონ მცირე და საშუალო საწარმოებს
- ფინანსური წიგნიერების ტრენინგები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის

ბიზნესის განვითარების სერვისები:

- მცირე და საშუალო საწარმოებისთვის პირდაპირი კონსულტაცია და ტრენინგები
- ტრენინგი და შესაძლებლობების განვითარება ბიზნესის მხარდამჭერი ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის (BSO)
- ბიზნეს-ინკუბატორების შექმნა სტარტაპებისთვის
- ბიზნეს-კლასტერების განვითარება ურთიერთმხარდაჭერისა და განვითარებისთვის
- მთავრობის მხარდაჭერა ახალი ბაზრების აღმოჩენის კუთხით
- ექსპორტის მხარდამჭერი ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება

ბიზნესის ხელშემწყობი გარემო:

- მარეგულირებელი რეფორმებისა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა
- გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და მარეგულირებლების შესაძლებლობების განვითარება
- საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის ხელშეწყობა
- საწარმოების ინფორმირება განხორციელებული რეფორმების და ახალი წესების/პროცედურების შესახებ

საქართველოში თითოეული მიმართულების ქვეშ მიღწეული შედეგები

ფინანსებზე წვდომა:

11,460
მცირე და საშუალო საწარმომ მიიღო სესხები

31% საწარმოები, რომელთა მფლობელი ქალია

€255 მილიონი
სესხების მთლიანი მოცულობა

€22,255
სესხის საშუალო ოდენობა

13
პარტნიორმა ფინანსურმა ინსტიტუტმა მიიღო მხარდაჭერა

ბიზნესის განვითარების სერვისები:

257
ბიზნესის მხარდამჭერმა ორგანიზაციამ განამტკიცა საკუთარი შესაძლებლობები

18,597
საკონსულტაციო სერვისი მიეწოდა მცირე და საშუალო საწარმოებს

44% საწარმოები, რომელთა მფლობელი ქალია

144
მცირე და საშუალო მეწარმემ მიიღო მონაწილეობა B2B ღონისძიებებში

ბიზნესის ხელშემწყობი გარემო:

47
კანონის, პოლიტიკისა და რეგულაციის რეფორმირება

32
საჯარო-კერძო დიალოგი გაიმართა

7
ღონისძიება საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის მხარდასაჭერად

109
სახელმწიფო დაწესებულებამ განამტკიცა საკუთარი შესაძლებლობები

წარმატების ისტორიები

საექსპორტო პოტენციალის გაძლიერება: EU4Business და Eurochambres ქართულ ეკოლოგიურად სუფთა დიზაინის კომპანიებს უჭერენ მხარს

"ფუნდუკი" ქართული დიზაინის მაღაზიაა, კულტურული მიდგომით და კრეატიული უპირატესობით. EU4Business-ის პროექტის ფარგლებში კომპანიამ მიიღო დახმარება საექსპორტო საქმიანობაში, ჩაერთო სასწავლო ვიზიტებში, ჰქონდა არაერთი B2B შეხვედრა და თავისი პროდუქცია ტალინში, კონცეფციის წამყვან მაღაზიაშიც განათავსა.

იხილეთ სრულად

ღვინის საპონი და გოგრის თესლის ზეთი: EU4Business მხარს უჭერს ახალ ქართულ პროდუქტებს ტურისტული კლასტერის წევრებისგან

მას შემდეგ, რაც ქართველი მეწარმეები საკუთარ ბიზნესს იწყებენ, ბევრი ხვდება, რომ საჭირო აღჭურვილობასთან ერთად, კავშირები და გამოცდილებაც აკლია. ამ კრიტიკულ მომენტში, EU4Business პროექტი მათ ბიზნეს კონსულტაციებისა და გაცვლითი პროგრამების სახით დახმარებას სთავაზობს.

იხილეთ სრულად



EU4Business-ის მხარდაჭერით მოდის მეწარმე ეკოლოგიური ღებვის ძველ ტრადიციას აცოცხლებს

ეკოტექსტილის სტარტაპი „კავკასიის ფერები" საქართველოს ტანსაცმლისა და მოდის ასოციაციის (GAFA) წევრია, რომელიც EU4Business-ის პროექტის მხარდაჭერით შეიქმნა. ინდუსტრიის კლასტერები ეხმარებიან მცირე და საშუალო მეწარმეებს, რომ სხვა ბიზნესებთან პარტნიორობით უფრო კონკურენტუნარიანი გახდნენ.

იხილეთ სრულად

ჩურჩხელას ქართველი მწარმოებელი EU4Business-ის მხარდაჭერით წარმოებას აფართოებს

„ნუგბარმა" მიიღო მხარდაჭერა EU4Business პროექტისგან, რომელიც მას ახალი, თანამედროვე დანადგარების შეძენაში დაეხმარა. ახალი აღჭურვილობით კომპანიას ყოველდღიურად 10 000-ზე მეტი ჩურჩხელის დამუშავება შეუძლია. ეს ნიშნავს, რომ ახლა ისინი დიდ საექსპორტო შეკვეთებსაც მიიღებენ და პროდუქტის ხარისხზეც აღარ ინერვიულებენ.

იხილეთ სრულად

გაიგეთ მეტი: www.eu4business.ge